2 726 ა/8492

ფრთოსანი საქმრო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 3 (308) გამოცემის მე-17 წელი
1973 წლის თებერვალი

ყველაზე მაღლა, ყველაზე სწრაფად, ყველაზე შორს!

ფრთოსანი საქმრო

დღეს ლენინის ორდენოსანი სამოქალაქო ავიაცია თავისი არსებობის 50 წლისთავს ზეიმობს. ამ ზეიმს ქართველი ავიატორებიც ფართოდ აღნიშნავენ, — მათაც თავიანთი წვლილი აქვთ შეტანილი საბჭოთა ავიაციის წინსვლაში და ღირსეულად ატარებენ საბჭოთა მფრინავის სახელს, რომელთა დევიზია — იფრინონ ყველაზე მაღლა, ყველაზე სწრაფად, ყველაზე შორს...

ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით ჩვენმა კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვით მიმართა სამოქალაქო ავიაციის საქართველოს სამმართველოს უფროსს, სოციალისტური შრომის გმირს, საბჭოთა კავშირის დამსახურებულ პილოტს ივანე სამადალაშვილს.



ივანე სამადალაშვილი



საჰაერო ლაინერები ღამით



გამცილებელი გოგონები ჰაერში აფრენის წინ



ქუთაისის აეროვაგზლის შიდა ხედი

● ნება მოგვეცით, უპირველესად მოგილოცოთ იუბილე, გისურვოთ მშვიდობიანი ფრენა, უღრუბლო ცა...

დიდი მადლობა. „სამშობლოს“ მოლოცვა განსაკუთრებით გვახარებს.

● გთხოვთ ორიოდე სიტყვით გაგვაცნოთ ქართული ავიაციის ისტორია.

ქართული ავიაციის ნამდვილი ისტორია 1923 წლიდან იწყება. მაშინ სამოქალაქო ავიაციის განკარგულებაში იყო ორადორი მოძველებული გერმანული თვითმფრინავი. იმავე წელს წყალწყალ სერგო ორჯონიკიძის განკარგულებით თბილისში რამდენიმე თვითმფრინავი და ავიამოწყობილობა გამოიგზავნა. გადაიყვანეს პირველი მგზავრები დედაქალაქიდან ქუთაისში, ბათუმში, ერევანში, ბაქოში. ქართული ავიაციის განვითარების საქმეს თავდაუზოგავად ემსახურებოდნენ სახელმოხვეჭილი ადამიანები: ბესარიონ ქებურია, ალექსი შიუკაშვილი, მიხეილ მაჭავარიანი, შალვა ჭანკოტაძე, ვახტანგ მაყაშვილი...

1934 წელს სახკომსაბჭოსთან არსებული ავიაციის ხელშეწყობი კომიტეტის დახმარებით შეგროვდა მილიონ მანეთზე მეტი. ამ თანხით შეიძინეს იმ დროისათვის საუკეთესო თვითმფრინავის „ა-5“-ის მთელი ჩვეგანაყოფი. ამავე თანხით დაიწყო აეროვაგზლების მშენებლობა თბილისსა და ქუთაისში.

შემდგომ წლებში კიდევ უფრო გაიზარდა თვითმფრინავების გამოყენება არა მარტო მგზავრების გადაყვანის საქმეში, არამედ ტვირთის გადატანაშიც. 1933 წელს კი საქართველოს ავიაციის მუშაკები მხარში ამოუდგნენ რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც კოლხეთისა და ალაზნის ჭაობების ამოშრობას შეუდგნენ. სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი სოფლის მეურნეობის ავიაციას.

დაიწყო დიდი სამამულო ომი და ქართველმა მფრინავებმა თავიანთი ვაჟკაცური სიტყვა თქვეს ფაშისტთა ურდოების განადგურებისას.

● რას წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო ავიაცია დღეს?

საქართველოს სამოქალაქო ავიაცია ამჟამად აღჭურვილია ტურბოხრახნიანი და ტურბორეაქტიული თვითმფრინავებით. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის აეროპორტებიდან ყოველდღიურად სრულდება 250 რეისი. თბილისი, ქუთაისი, სოხუმი და ბათუმი პირდაპირი საჰაერო ხაზებით დაუკავშირდნენ მოსკოვს, თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის დედაქალაქსა და საბჭოთა კავშირის 55 ქალაქს. ამ თვითმფრინავებს მართავენ ადამიანები, რომელთა სახელები ცნობილია არა მარტო საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. აი ისინი: ლეონიდე თალაკვაძე, გიორგი ქურციძე, პეტრე საველიევი, რეზო ჭოიავა, ოთარ ასლამაზიშვილი, ემზარ ჩაჩავა, ბორის ჩიმაკაძე, თენგიზ ჯუპატაძე, ნოდარ ტატიშვილი...

თუ ათი წლის წინათ საქართველოში გვქონდა ერთი აეროდრომი, რომელსაც შეეძლო რეაქტიული თვითმფრინავების მიღება, ამჟამად უკვე რამდენიმე გვაქვს. თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში ჩამოსულ სტუმრებს კი ფართოდ ულებენ ქარს ახალი აეროვაგზლები, რომელთა მშენებლობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ზეიმს მიეძღვნა.

ჩვენი ავიაციის დღევანდელი დღე სრულყოფილად არ იქნება ასახული, თუ არ ვიტყვით იმ წვლილზე, მგზავრების გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვასთან ერთად სოფლის მეურნეობის აღმავლობაში რომ შეგვაქვს. დღეს მინდვრის მშრომელები სიყვარულით ლაპარაკობენ თავიანთი ფრთოსანი მეგობრების შესახებ, რომლებიც მათ მხარდამხარ იბრძვიან უხვი მოსავლისათვის.

● როგორია ჩვენი ავიაციის ხვალინდელი დღე?


საქართველოს ავიაცია, ჩვენი დიადი სამშობლოს ავიაციის მსგავსად, დღითი-დღე ვითარდება. მეცხრე ხუთწლედი ავიაციაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ხუთწლედია. საჰაერო ხაზებზე გამოვლენ უახლესი რეაქტიული ზებგერითი სამგზავრო თვითმფრინავები: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს კოლექტივი აითვისებს ისეთ ახალ სამგზავრო თვითმფრინავებს, როგორიც არის „იაკ 40“, „ტუ-134“, „ტუ-154“..

1975 წელს უნდა გადავიყვანოთ 3 მილიონამდე მგზავრი, რაც 1,7-ჯერ მეტია, ვიდრე 1970 წელს გადავიყვანეთ. გადავიტანთ 4 ათას ტონა ფოსტას, 12 ათას ტონა ტვირთს, კვლავ მწიშვნელოვნად დავეხმარებით სოფლის მეურნეობის მუშაკებს 770 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დამუშავებაში.

ᲩᲐᲖᲔᲗᲘ „სამშობლო“ მოკრძალებით უერთებს თავის ხმას საქართველოს მშრომელების მილოცვას, უსურვებს ჩვენს ავიატორებს — მფრინავებს, მექანიკოსებს, რადისტებს, ტექნიკურ პერსონალს, გამცილებლებს, ყველას, ვისაც წვლილი მიუძღვის სამამულო ავიაციის აღზევების საქმეში, ნაყოფიერ შრომას, ბედნიერ ცხოვრებას, ჯანმრთელობას, ცაში კეთილ აფრენასა და დედამიწაზე წარმატებით დაფრენას!

1942 წლის 10 ნოემბერს, განთიადის წინ მიწა შეირყა ვოლგისა და დონის შუა დინებაზე — გერმანელ ფაშისტთა ჯარების პოზიციებს ერთდროულად დაატყდა თავს ათასობით ქვემეხის, ნაღმსატყორცნის, მრისხანე „კატიუშების“ ცეცხლი. მოზღვავებული ტანკების დახმარებით იერიშზე გადავიდა ქვეითი ჯარი. ჰაერში აიშრნენ მოპაერე ბომბდამშენები, ფრთამალი ავიავამანადგურებლები, მძიმე ბომბდამშენები.

...სტალინგრადთან დაიწყო საბჭოთა ჯარების გენერალური კონტრშეტევა, რომელიც წარმატებით დაგვირგვინდა — 1943 წლის 2 თებერვალს ჰიტლერელებმა აღმართეს კაპიტულაციის თეთრი ალამი, ორთვენახევრიანი ბრძოლების შემდეგ 330 ათასი კაცი ტყვედ ჩაბარდა საბჭოთა ჯარებს. ისტორიაში არნახული ეს მრისხანე ბრძოლები საფუძვლად დაედო საბჭოთა ძლიერების აღზევებას, ჰიტლერული ფაშიზმის დამარცხებასა და ვანდალიზმისაგან მსოფლიოს განთავისუფლებას.



მარადიული დიდება გმირებს!

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

სასტლი სევრისგულზე

მე დედა-ვოლგის ნაპირზე ვდგავარ,
მე სტალინგრადის მიწაზე ვდგავარ,
მე საჩუქრების ვდგავარ ჯიხურთან
ხელში პავლოვის სახლის მაკეტით —
ისევ ვაბარებ ომის გაკვეთილს,
ვუსმენ გარდასულ დღეთა ჯიქურთა,
ვჭვრეტ ქალაქს ჩვენი მკერდით ჩაკეტილს.
ჩემს ხელისგულზე დგანან კედლები,
ყუმბარებისგან დაცხავებული,
იმ კედლებს შიგნით ქუხან მხედრები,
მეც შიგ ვტრიალებ გაცხარებული.
ჩამოლეწილი მინები ფანჯრის —
ბასრი წვეტები ათასი ხანჯლის
მისერავს ხსოვნას, გულსა და თვალებს,
მკერდზე მიყვავის ყვავილი მარჯნის,
ჩასაფრებული მარცხნივ და მარჯვნივ
სიკვდილი მიმზერს და მითვალთვალებს.
სიკვდილი მიმზერს და მითვალთვალებს
ბომბის,
ყუმბარის,
ტყვიის
და ნაღმის
თვალით.
რამდენი თვალი აქვს სიკვდილს!
მათს ფხიზელ მზერას ნეტავ რა დაღლის...
მაინც სიცოცხლის ვრცელ გზებზე მიქრის
ფიქრი.
და ჩემი ხელისგულიდან,
ამ ჩემი მომცრო ხელისგულიდან
გახეშეშებულ ხელისგულიდან
გუგუნებს სერჟანტ პავლოვის სახლი —
გარდასულ ომის დიდი სურათი —
გუგუნებს უკვდავ რუსულ „ურათი“.
გრგვინავს მჭექარე ქართული ხმითაც.
ვდგავარ, ვივსები ჭარით და მზითა,
ვდგავარ პავლოვის სახლის მაკეტით,
დიდი სიცოცხლის ელვით ნაკვეთი
სხივები გულში დაჯარდებიან
და ჩამსხვრეული კარ-ფანჯრებიდან
ცეცხლს ვუშენ ყველა სიკვდილს და ომებს.



ისინი სტალინგრადს იცავდნენ...

ახალი ამბები

გალაკტიონი ფრანგულად

ფრანგულ ენაზე აუღერდა გალაკტიონ ტაბიძის ნაწარმოებები. მთარგმნელმა და პოეტმა ტატიანა ავალიანმა ფრანგულად თარგმნა მისი „ქებათა ქება ნიკორწმინდას“. თარგმანი დაბეჭდილია პარიზის უურნალ „რევიუ დე კარტველოლოგიაში“. მანვე თარგმნა ეს ნაწარმოები რუსულად. ამბობენ — მთარგმნელმა შეძლოო, გადმოეცა ნაწარმოების დიდებული საბეები და მაღალი პათოსი, მკითხველამდე მიეტანა პოეტის მთელი ფილოსოფიური, ღრმა ეროვნული და ამასთან ზოგადსაკაცობრიო კონცეფცია.

ტატიანა ავალიანმა უკვე თარგმნა ფრანგულ ენაზე გალაკტიონ ტაბიძის ლექსები „მთაწმინდის მთვარე“, „მე და ღამე“, „ატმის ყვავილი“, „მერი“, „ლურჯა ცხენები“, „ეფემერა“.

დასავლეთ ევროპის სცენაზე

ორ თებერვალს საქართველოს თეატრალური საზოგადოების აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლმა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებასთან არსებულმა თეატრის სექციამ შეხვედრა მოუწყეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ საარბრუკენში განხორციელებულ ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი ოპერა „დაისის“ მონაწილე ქართველ მსახიობებსა და სადადგმო ჯგუფს.

შეხვედრა გახსნა თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა დოდო ანთაძემ. შესავალი სიტყვა წარმოთქვა ჯგუფის უფროსმა და ორგანიზატორმა, საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილემ ვახტანგ კუპრავამ. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო, თუ როგორი ინტენსიური მუშაობით მოიპოვეს ჩვენმა საოპერო ჯგუფმა და გერმანელმა კოლეგებმა ესოდენ დიდი წარმატება დასავლეთ ევროპის სცენაზე „დაისის“ განხორციელებით. ოპერის დადგმაში მონაწილე ქართველმა მსახიობებმა და სადადგმო ჯგუფის წევრებმა საოპერო მუსიკის მოყვარულთა გაუზიარეს თავიანთი შთაბეჭდილებები გერმანელ კოლეგებთან თანამშრომლობის შესახებ.

საქართველო შეხვედრები

ივნის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტში სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა თბილისის უნივერსიტეტის ჟიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ნიკო ვახანია.

ქართველმა პროფესორმა ივნის უნივერსიტეტში წაიკითხა ლექციების მოკლე კურსი მათემატიკის სექციის ალბათობათა თეორიისა და ფუნქციონალური ანალიზის განყოფილებათა თანამშრომლობისა და დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისათვის; მონაწილეობა მიიღო სამეცნიერო სემინარის მუშაობაში; სასარგებლო საუბრები ჰქონდა აგრეთვე ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტისა და უმაღლესი ეკონომიური სკოლის პროფესორ-მასწავლებლებთან.

ჩინურ და ვიეტნამურ ენებზე

აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას სახელს კარგად იცნობენ საზღვარგარეთ. მისი შრომები ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის მნიშვნელოვან საკითხებზე თარგმნილია საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს მრავალ ენაზე. გიორგი ჩიტაიას მოხსენება „საველე ეთნოგრაფიული მუშაობის ძირითადი პრინციპები და მეთოდი“, რომელიც მან 1957 წელს ეთნოგრაფთა მსოფლიო კონგრესზე წაიკითხა, ითარგმნა ჯერ ჩინურ ენაზე და გამოქვეყნდა ჩინურ ჟურნალ „ეთნოგრაფიის საკითხებში“ (მთარგმნელი კიეუ თხიენ-მინხი), ხოლო შემდეგ ვიეტნამელმა ეთნოგრაფმა ნგუენ ხნუ თხაუმ ჩინურიდან ვიეტნამურ ენაზე თარგმნა და გამოაქვეყნა კრებულში „რა არის ეთნოგრაფია“ (გამომცემლობა „ისტორია“).

მსოფლიოში მოგზაურობს...

ალბათ, ხშირად მოგისმენიათ დიდებული სიმღერა „მწუხრისა ზარი“. იგი ძალზე პოპულარულია ჩვენს საზღვრებს გარეთაც. იაპონური ესტრადის სოლისტები თავისებურად, მაგრამ ძალზე კარგად ასრულებენ ამ მელოდიურ სიმღერას. მაგრამ საღ, როგორ დაიბადა ეს სიმღერა? ან ვინ დაწერა მისი ტექსტი, უფრო სწორად, ვისი ლექსი აქცა სიმღერად?

ბევრს არ ახსოვს, ალბათ...

ეს ამბავი მოგვაგონა 1967 წელს მოსკოვში ინგლისურ ენაზე დაბეჭდილმა ლექსების კრებულმა — „მშვენიერების სამყაროში“, რომლის შემდგენელი სემიონოვა-სტროგანოვსკაია გახლავთ. კრებულის 21-ე გვერდზე მოთავსებულია თომას მურის ლექსი „მწუხრისა ზარი“, რომელსაც აქვს მინაწერი — „სანკტ-პეტერბურგის ზარები“, ხოლო განმარტებისათვის დართობილ 252-ე გვერდზე ვკითხულობთ: „მე-10 საუკუნეში ქართველმა მწერალმა, ათონის მონასტრის წინამძღვარმა გიორგი მთაწმინდელმა ბერძნულად დაწერა ლექსი. ათონის მონასტრიდან ეს ლექსი, როგორც სასულიერო საგალობელი, მთელ მართლმადიდებელ აღმოსავლეთსა და რუსეთში გაერცელდა და იქიდან თომას მურამდე მიაღწია. ამის დასტურად ქვესათაურიც გამოდგება. რუსულად იგი კოზლოვმა თარგმნა“.

სამშობლოს მწერლის საღამო

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში გაიმართა XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ჰუმანისტი მწერლის ჰერმან ჰესეს დაბადების 95 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო.

საღამოს პროგრამა შედგებოდა ლიტერატურული და მუსიკალური განყოფილებებისაგან. ლიტერატურული ნაწილი დაიწყო რევაზ ყარალაშვილის ორიგინალური გამოსვლით: „საზეიმო სიტყვის მაგიერ ანუ ჰერმან ჰესეს „ვირტუოზის კონცერტი“, რომლის მეშვეობითაც მსმენელი გაეცნო ჰერმან ჰესეს შემოქმედების ძირითად დამახასიათებელ ნიშნებსაც და მისი ამ მოთხრობის ქართულ თარგმანსაც. შემდეგ წაიკითხეს ჰერმან ჰესეს ლირიკის საუკეთესო ნიმუშების ნაირა გელაშვილისეული თარგმანები. წაიკითხეს აგრეთვე რომან „მძივობანას თამაშში“ ჩართული ლექსების ვახუშტი კოტეტიშვილისეული თარგმანი.

მუსიკალური განყოფილება შედგებოდა ჰერმან ჰესეს ტექსტებზე დაწერილი სიმღერებისაგან. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტებმა და პედაგოგებმა გერმანულ ენაზე შეასრულეს ბრიომილის, შოეკისა და ვეტცელის ვოკალური ნაწარმოებები, ფორტეპიანოს პარტიას ასრულებდა პროფესორი მარია კამოევა.

დასასრულ აუღერდა მოცარტის „ღამის პატარა სერენადა“ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის კამერული ორკესტრის შესრულებით.

რუპა ნიღაბი ჩამოხდილია

ავსტრიელ კომუნისტთა გაზეთ „ფოლკსშტიმეში“ გამოქვეყნდა საიდუმლო „სახელმძღვანელო“ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იმ იდეოლოგიური დივერსიის მიზნებსა და მეთოდებზე, რომელიც რადიოსადგურ „თავისუფლების“ მეშვეობით ხორციელდება. პუბლიკაციას თან ახლავს „სახელმძღვანელოს“ ინგლისური გამოცემის ორიგინალის სატიტულო ფურცლის ფოტოპირი. მერედა, რას წარმოადგენს „თავისუფლება“ და ეს დოკუმენტი?

ძირგამომთხრელი ორგანიზაცია, რომელიც ეხლა „თავისუფლების“ რადიოს კომიტეტს“ უწოდებს თავის თავს, ამერიკის შეერთებულ შტატებში საქმიანობს 1951 წლის 7 მარტიდან. მის შექმნაში მონაწილეობდნენ მსხვილი საფინანსო კაპიტალის წარმომადგენლები, აგრეთვე პირწავარდნილი ანტიკომუნისტები, რომლებსაც ოფიციალური მდგომარეობა ეჭირათ სამხედრო, დიპლომატიურ და სხვა სარბიელზე. ეს ხელს არ უშლიდა ამ ორგანიზაციას ერთხანს შენიღბულიყო „კერძო ორგანიზაციის“ ფირნიშით, რომელსაც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო ფონდებიდან აფინანსებდნენ. ამჟამად იგი ოფიციალურად იღებს საკმაოდ მოზრდილ თანხას ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ორგანიზაციის პირველი პრეზიდენტი იყო იუნაიტედ პრესის სააგენტოს ყოფილი კორესპონდენტი მოსკოვში იუჯინ ლაიონსი, რომელიც ადმირალმა ლესლი სტივენსმა შეცვალა, ხოლო 1954 წლიდან დღემდე მისი პრეზიდენტია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე ჰოულენდ ჰ. სარჯენტი.

თავისი არსებობის მანძილზე „კომიტეტმა“ სამჯერ გამოიცვალა სახელწოდება, ჯერ „ბოლშევიზმისაგან განთავისუფლების ამერიკული კომიტეტი“, შემდეგ „განთავისუფლების ამერიკული კომიტეტი“ ეწოდებოდა, 1964 წლიდან კი ეწოდება „თავისუფლების“ რადიოს კომიტეტი“. მისი შტაბ-ბინა, რომლის თანამშრომელთა რიცხვი ასს სჭარბობს, ნიუ-იორკშია.

„კომიტეტის“ მთავარი აღმასრულებელი ორგანოა მიუნხენში განლაგებული რადიოსადგური „თავისუფლება“ (წინათ „განთავისუფლება“ ერქვა), რომელიც მთელი დღე-ღამის განმავლობაში აწარმოებს გადაცემებს საბჭოთა რესპუბლიკების ხალხთა 22 ენაზე. 17 გადამცემი დანადგარი თავმოყრილია სამ პუნქტში: ლამპერტ ჰაიმში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), პლაია დე პალიეში (ესპანეთი) და ტაიბეიში (ტაივანი). ამის გარდა, „თავისუფლების“ რადიოს რედაქციის ფილიალები არის ნიუ-იორკში, ლონდონში, რომსა და კაპიტალისტური სახელმწიფოების ზოგიერთ სხვა დედაქალაქში. რადიოსადგურს, რომელშიც ათასზე მეტი კაცი მუშაობს, მეთაურობს აღმასრულებელი დირექტორი, რომლის პოსტი 1965 წლიდან უჭირავს ამერიკის შეერთებული შტატების არმიის ყოფილ ოფიცერს, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს კადრის თანამშრომელს უოლტერ კ. სკოტს.

რადიო „თავისუფლების“ ფაქტიურ მონაცემებს, რომლებიც აქ მოვიყვანეთ, ზოგადად იცნობს საბჭოთა და საერთაშორისო საზოგადოებრიობა. მაგრამ კონცენტრირებული სახით ისინი საშუალებას გვაძლევენ თვალი გავადევნოთ ფრიად დამახასიათებელ ევოლუციას, რომლის არსია „თავისუფლების“ რადიოს კომიტეტის“ ძირგამომთხრელი ხასიათის გულმოდგინე კამუფლაჟი. ეხლა მისი მესვეურები ყოველ გზაჯვარედინზე საქვეყნოდ ფიცულობენ, რადიოსადგურის საქმიანობა მიზნად აღარ ისახავსო „სსრ კავშირში კომუნისტური რეჟიმის დამხობას და სოციალისტური წყობილების ლიკვიდაციას“, არამედ, არც მეტი, არც ნაკლები, „ხალხთა შორის ურთიერთგაგების განმტკიცებას“ ცდილობსო. სწორედ ამ კამუფლაჟით სარგებლობს რადიოსადგური და ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევა სსრ კავშირის წინააღმდეგ, თანაც ცდილობს განახორციელოს ხოლმე აქციები, რომლებიც სხვა არა არის რა, თუ არა ჩარევა საბჭოთა საზოგადოების საშინაო საქმეებში.

ავსტრიული გაზეთი „ფოლკსშტიმე“, რომელიც რადიო „თავისუფლების“ საქმიანობის განმსაზღვრელი ამერიკული საიდუმლო დოკუმენტების საფუძველზე აქვეყნებს მამხილებელი სტატიების სერიას, წერდა, რომ მთელი ანტისაბჭოური სიყალბე, რომელსაც რადიოპროპაგანდის ნიუ-იორკის ცენტრმა მოუყარა თავი დირექტივებსა და სააგენტო ინსტრუქციებში, კვლავ გამოაქვთ დღის სინათლეზე. თვითონ ეს ცენტრი კი ცდილობს „წარმმართველი ძალა“ გახდეს კაპიტალისტური ქვეყნების გაზეთებისა და მასობრივი პროპაგანდის სხვა საშუალებებისათვის, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებზე იღებენ ორიენტაციას.

„თავისუფლების“ რადიოს კომიტეტის“ ძირითად საიდუმლო, საშინაო დოკუმენტს, რომელიც გაზეთ „ფოლკსშტიმეს“ წყალობით გამოქვეყნდა, წარმოადგენს ეგრეთ წოდებული „პოლიტიკური გადაცემების ორგანიზაციის სახელმძღვანელო“.

ეს დოკუმენტი, რომელსაც გულმოდგინედ უმალავდნენ უცხო თვალს, შეიცავს ორმოცდაათიოდე გვერდ მჭიდროდ ნაბეჭდ ტექსტს, რომელშიც დაწვრილებით, ცინიკური გულახდილობით არის აღწერილი რადიოსადგურის უახლოესი და საბოლოო ძირგამომთხრელი მიზნები, მისი „მისია“, მიმდინარე ამოცანები, მეთოდები და ხერხები. დოკუმენტში გასაოცარი პოლიტიკური ცინიზმით არის დახასიათებული ჩვენი მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია, რომლებსაც განიხილავენ როგორც სხვადასხვა მნიშვნელობისა და დაპირისპირებულ „ობიექტებს“ რადიოპროპაგანდისათვის. დაწვრილებით არის აღწერილი მასში ძირგამომთხრელი საქმიანობის კამუფლაჟის თემატიკაც. „სახელმძღვანელოს“ თვითონ აწერს ხელს „თავისუფლების“ რადიოს კომიტეტის“ პრეზიდენტი ჰოულენდ ჰ. სარჯენტი.

მერედა, რა მთავარი მიზნებია მითითებული ამ სახეწესდებო და საპროგრამო დოკუმენტში? „უნდა დავეხმაროთ მსმენელებს იმოქმედონ უფრო ეფექტიანად, რათა შეცვალონ არსებული საბჭოთა სისტემა...“ ესეთია „თავისუფლების“ რადიოს კომიტეტის“ „სამუშაო“ დებულება. განა არ იგრძნობა მასში „ბოლშევიზმისაგან განთავისუფლების კომიტეტის“ ხმა სამარიდან? განა ეს არ არის წამქეზებლური ძირგამომთხრელი საქმიანობა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და მის საშინაო საქმეებში ჩარევა?

მაშ ესე, რადიოსადგურის მიზანია „შეცვალოს არსებული საბჭოთა სისტემა“. მაგრამ რომელი მიმართულებით შეცვალოს? „სახელმძღვანელოს“ პასუხი ნათელია: გარედან ინსპირირებული აქციებით ან დასავლეთის მიერ წარმართული „თანდათანობითი ევოლუციის“ გზით დაუბრუნონ საბჭოთა ხალხი ექსპლუატატორულ წყობილებას და თავს მოახვიონ მას ეგრეთ წოდებული „ნეოკაპიტალიზმი“, რადგან, როგორც ამტკიცებენ „სახელმძღვანელოში“, „დასავლეთის დემოკრატიულ ნეოკაპიტალიზმს უამრავი უპირატესობა აქვს“. მაგრამ საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან, რომ კაპიტალიზმის მტაცებლურ ბუნებას ვერ შეცვლის ვერც მოდური წინდებულები, როგორიც არის „ნეო“, ვერც კეთილხმოვანი ეპითეტები — „დემოკრატიული“, „განახლებული“ და სხვა.

რადიოსადგური ეთანხმება მაოისტური პროპაგანდის თეზისს, რომელიც უარყოფს იმ ფაქტს, რომ საზოგადოებრივი განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია მსოფლიო სოციალისტური სისტემა, და ცდილობს დაუმტკიცოს საბჭოთა ადამიანებს, თითქოს „რევოლუციური ბრძოლა მსოფლიოში ამჟამად არ ემთხვეოდეს არც მათს შეხედულებებს, არც მათს ინტერესებს“. „სახელმძღვანელოს“ ავტორები ბანს აძლევენ ამერიკის საინფორმაციო სამსახურის ყოფილ დირექტორს ფრენკ შექსპირს, რომელიც კრძალავდა სიტყვების „საბჭოთა ხალხის“, „საბჭოთა ადამიანების“ ხმარებას უბრჭყალებოდ, და კიდევ უფრო შორს მიდიან, როცა ესეთსავე აკრძალვას ავრცელებენ ისეთ ცნებებზე, როგორიც არის, „კომუნიზმი“, „კომუნისტები“, „ოქტომბრის რევოლუცია“ და სხვა.

„თავისუფლების“ რადიოს კომიტეტის“ ბოსების სანუკვარ მიზნებს სავსებით შეესაბამება ძირგამომთხრელი საქმიანობის ის მეთოდები და საშუალებები, რომლებსაც სთავაზობს „სახელმძღვანელო“. აი ზოგიერთი მათგანი: „რადიოსადგური პოლიტიკურ გავლენას ახდენს და ხელს უწყობს საბჭოთა საზოგადოების ევოლუციას... საჭირო იდეებისა და ინფორმაციის მიწოდების გზით“. „რადიოსადგურს... შეუძლია მიაწოდოს ბევრი ინფორმაცია, რომელიც ფრიად სასარგებლო იქნება რეჟიმისადმი წინააღმდეგობის გაწევის საერთო პლატფორმის შექმნის დროს“. „ჩვენ უნდა მივწვდეთ „რეჟიმის პატრიოტებს“ და ვაიძულოთ ისინი ეჭვი შეეპაროთ საბჭოთა სისტემასა და საბჭოთა მთავრობის მოქმედებაში...“ და ა. შ.

მართალია, ეხლა, როგორც ვხედავთ, „თავისუფლების“ რადიოს ტიპის ძირგამომთხრელი ცენტრები უკვე აღარ ლაპარაკობენ აშკარად თავიანთ ჭეშმარიტ მიზნებზე, არამედ გაჩუმებას, ამ მიზნების ხელფში ჩაგდებას ამჯობინებენ. რადიოგადაცემებს კი, რომლებიც საბოლოო ანგარიშით ამოცანად ისახავენ საბჭოთა საზოგადოებისათვის ძირის გამოთხრას, ადგენენ განსაკუთრებული, სპეციალურად რეკომენდებული მეთოდის მიხედვით.

„სახელმძღვანელო“, მაგალითად, ავალებს თანამშრომლებს „მოიყვანონ სპეციალურად შერჩეული და სათანადოდ გაფორმებული ფაქტები“, თანაც აფრთხილებს, რომ „ინფორმაციის საბჭოურ წყაროებთან პოლემიკას არავითარი სარგებლობა არ მოაქვსო“. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სასარგებლო არ არისო რადიოსადგურისთვის. რადიოსადგური კიდეც არიდებს თავს პოლემიკას, რადგან ეშინია მორიგი მხილებისა. „თავს ნუ ავიტკივებთო“, — აი როგორ ხსნიან თავიანთ სიფრთხილეს „სახელმძღვანელოს“ ავტორები. „ბევრად უფრო ხელსაყრელია დისკუსიები გავმართოთ პრობლემებზე ჩვენი საკუთარი საზომის მიხედვით“, — აცხადებენ ისინი.

ინსტრუქცია აფრთხილებს, რომ „რადიოსადგურისათვის ფრიად სახიფათოა ყოველგვარი ციფრების მოყვანა“, და აღნიშნავს, რომ „პოლიტიკურ გადაცემას ეფექტიანობას მატებენ ორჭოფული, დაუმთავრებელი აზრები“. და ბოლოს, სახელმძღვანელო მოითხოვს „პოლიტიკური, ეკონომიური თუ კულტურული მოვლენების შესახებ ფაქტები ისე ოსტატურად და დამაჯერებლად შეარჩიონ და მიაწოდონ“, რომ „მსმენელებს თვითონ გამოატანინონ სასურველი დასკვნები“.

როგორ არ გაგახსენდება აქ ბურუსუაზიული სამყაროს გავლენიანი გაზეთის — „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ძველი აღსარება, რომლის აზრით იმპერიალისტური პოლიტიკა და პროპაგანდა — ეს არის იმის ცოდნა, თუ როგორ აკეთებინონ ადამიანებს ის, რაც მათ ან არ სურთ, ან არ ესმით.

განსაკუთრებული ცინიზმით გამოირჩევა „სახელმძღვანელოს“ დებულებანი ტაქტიკის საკითხებში. „რადიოსადგურმა „თავისუფლებამ“ არ უნდა მოახდინოს ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს იგი ცდილობდეს აიძულოს მსმენელები მიმართავდნენ აშკარა მოქმედებას... იგი არასოდეს არ თავაზობს მსმენელებს დაპირებებს გარედან დახმარების შესახებ... თუმცა აღიარებს კი, რომ საბჭოთა საზოგადოებაში შესაბამისი ჯგუფების გარკვეული ფორმის მოქმედება შეიძლება საჭირო იყოს იმ რეფორმების განსახორციელებლად, რომლებსაც „თავისუფლება“ თავაზობს, — არწმუნებს „კომიტეტის“ ხელმძღვანელობა თავის ხელქვეითებს.

აი, ჭეშმარიტად, პოლიტიკურ პროვოკატორთა ლოგიკა: „წააქეზეთ, წააქეზეთ ხალხი დანაშაულისათვის, — უქადაგებს თავის ხელქვეითებს ბატონი სარჯენტი. — ოღონდ ნუ დაპირდებით ნურავითარ დახმარებას და მუდამ განზე დარჩით ხოლმე“. დააყენოს ხალხი მოლიპულ ბილიკზე, დაფაროს თავისი მონაწილეობა და პასუხისმგებლობა, შემდეგ კი კმაყოფილებით იფშვნიტოს ხელები, შეთითხოს და ეთერში გადასცეს ღვარძლიანი ნაყალბევი „სსრ კავშირში სხვაგვარად მოაზროვნეთა დევნის შესახებ“ — მართლაც რომ პოლიტიკური მაფიის შესაფერისი ხერხია!

ჩვენ ვიცით, ბატონო სარჯენტ, რომ ბევრ თქვენს თანამშრომელს ვერაფერი სახელი აქვს, რადგან ეს სახელი გაიტეხეს გესტაპოსთან და ჰიტლერელთა სხვა სადამსჯელო ორგანოებთან კავშირით. მაგრამ თქვენ, ჰოულენდ ჰ. სარჯენტ, რომელიც 1951 წელს იუნესკოს გენერალური კონფერენციის თავმჯდომარედ აგირჩიეს პარიზში და სამჯერ მეთაურობდით ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას ამ ორგანიზაციის კონფერენციებზე, თქვენ როგორ მოაწერეთ ხელი ამ ბინძურ დოკუმენტს? იგი ხომ თავით ბოლომდე ეწინააღმდეგება იუნესკოს პრინციპებსა და მიზნებს, რომელიც „თანამშრომლობს ხალხთა შორის ურთიერთგაცნობისა და გაგების განვითარების საქმეში და ამისთვის იყენებს ურთიერთობის ყველა საშუალებას“. რა თქმა უნდა, თქვენ გწამთ, რომ „ფული არა ყარს“, განსაკუთრებით ის ფული, რომელსაც თქვენ და თქვენი დამქაშები იღებთ არც ისე სასახელო „მოღვაწეობისათვის“. მაგრამ მთელი მსოფლიო ხედავს საწინააღმდეგოს: ამ დოლარებს პოლიტიკური პროვოკაციებისა და „ცივი ომის“ რეციდივების სუნი ასდის.

დასასრულ, რამდენიმე დასკვნა, რომლებიც უნებურად გამოგვაქვს, როცა ვეცნობით დოკუმენტურ მასალებს რადიოსადგურ „თავისუფლების“ ორგანიზაციისა და საქმიანობის შესახებ.

„თავისუფლების“ რადიოს კომიტეტი“ და მისი განშტოებული ქსელი ერევა სხვა სახელმწიფოს — სსრ კავშირის საშინაო საქმეებში და მიმართავს შესაბამის ძირგამომთხრელ აქციებს. ამით უხეშად ითელება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნები და პრინციპები, რომლებიც კრძალავს „ჩარევას ნებისმიერი სახელმწიფოს საშინაო კომპეტენციაში არსებითად შემავალ საქმეებში“. „თავისუფლების“ ფილიალებისა და გადამცემების არსებობა მთელი რიგი კაპიტალისტური ქვეყნების ტერიტორიაზე ზიანს აყენებს მათს პრესტიჟსა და სუვერენიტეტს.

რადიოსისტემის „თავისუფლების“ საქმიანობის არსი, აგრეთვე მისი ფალსიფიკატორული ფორმები, წამქეზებლური მეთოდები და პროვოკაციული ტაქტიკა ხელს უშლის საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებას, ხალხთა უშიშროების განმტკიცებას, ნდობისა და თანამშრომლობის დამყარებას სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის მქონე სახელმწიფოთა შორის.

სსრ კავშირის 50 წლისთავის შესახებ მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თქვა: „ხშირად გვსმენია, რომ დასავლეთში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კულტურის დარგში თანამშრომლობას, და განსაკუთრებით იდეათა გაცვლას, ინფორმაციის გაფართოებას, ხალხთა შორის კონტაქტებს. ნება მიბოძეთ სრულიად ნათლად განვაცხადო აქ: ჩვენც ამის მომხრენი ვართ, რა თქმა უნდა, თუ ესეთი თანამშრომლობა განხორციელდება თითოეული ქვეყნის სუვერენიტეტის, კანონებისა და ჩვეულებების პატივისცემის პირობებში და ხელს შეუწყობს ხალხთა ურთიერთ სულიერ გამდიდრებას, მათ შორის ნდობის ზრდას, მშვიდობისა და კეთილმეზობლობის იდეების დამკვიდრებას“.

მთელ მსოფლიოში მხურვალე გამოხმაურებას პოულობს საბჭოეთის კონსტრუქციული წინადადებანი საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელების შესახებ და ვერავითარი შავბნელი ძალები ვერ მოსცხებენ ჩირქს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების პოლიტიკას, რომელსაც თანამიმდევრულად ახორციელებს საბჭოთა კავშირი.

თავიანთ გადაცემებში რადიოსადგურ „თავისუფლების“ ხელმძღვანელები აცხადებენ, თითქოს სურდეთ „კონსტრუქციული დიალოგები“ ჩვენთან სხვადასხვა საზოგადოებრივ პრობლემაზე. არა, ბატონებო, არათუ დიალოგები, არამედ ყოველგვარი ურთიერთობა თქვენთან ამორალურია ისევე, როგორც ამორალურია ურთიერთობა ბოროტმოქმედებთან.

სხვა საკითხია, რომ შეიძლება გაიმართოს საუბრები თქვენზე, თქვენს არსებობაზე, ესე იგი დიალოგი იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც ჯერ კიდევ გაძლევენ სახსრებს და გითმობენ ტერიტორიას. ეს იქნებოდა ერთ-ერთი პრაქტიკული წვლილი „ცივი ომით“ ჩახერგილი გზის გაწმენდაში.


ჩვენს ქვეყანასთან ურთიერთობის პრინციპების შესახებ ამ ბოლო წლებში ხელმოწერილი დოკუმენტების ფორმა თუ არა, შინაარსი მაინც გვიკარნახებს ისტორიის სანაგვეზე გადაუძახოთ რადიოსადგური „თავისუფლება“, როგორც „ცივი ომის“ რელიქტი.

მ. ვოლგინი

ქალის ადგილი ცხოვრებაში



ნიკა ჭავჭავაძე



ნიკა ჭავჭავაძე III






ნიკა ჭავჭავაძე III





ვახტანგ ჭავჭავაძე





ვახტანგ ჭავჭავაძე

ნიკა

და სიყვარული!

აბესალომ და ეთერი...



ცნობამ — კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე უკვდავი ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ დაიდგმებაო, უველა გაახარა, მაგრამ... როგორ მიიღებს ჩვენს სათაყვანებელ ოპერას უკრაინელი მაყურებელი, როგორ გახსნიან აბესალომის, ეთერისა და მურმანის სახეებს დამდგმელი რეჟისორი, მსახიობები, დირიჟორი, მხატვარი?..

პრემიერა შარშან, მაისში გაიმართა...

ყოველთვის ლამაზია უკრაინის დედაქალაქი, მაგრამ გაზაფხულზე მაინც სხვაა. კრეშჩატიკზე წაბლების ყვავილობა ხიბლავს მნახველს... სწორედ ამ სილამაზის სადარი ზეიმი გადაიხადა ქართულმა ოპერამ. პრემიერამ წარმატებით ჩაიარა. მაგრამ პრემიერა მაინც პრემიერაა — „აბესალომ და ეთერს“ კი მაყურებელი შემდეგაც არ დაჰკლებია. პირიქით, რაც ხანი გადიოდა, მით უფრო მატულობდა მისი წარმატება.

და შეიყვარა ქართველი აბესალომი, ჩვენი ეთერი და დიდი ზაქარია კიეველმა მაყურებელმა, უკრაინის დედაქალაქმა, საქართველოს ძმადნაფიცმა — მთელმა უკრაინამ!

ძმათა ამაგის დაფასება წესად გვაქვს — ქართულ პრესაში გამოცხადდა იმ ხელოვანთა გვარები, რომლებიც ზაქარია ფალიაშვილის პრემიის ლაურეატები გახდნენ. სხვებთან ერთად საპატიო წოდება კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრში ოპერა „აბესალომ და ეთერის“ დამდგმელ ჯგუფსა და მონაწილეებსაც მიენიჭათ... ესენი არიან თეატრის მუსიკალური ხელმძღვანელი და დირიჟორი — უკრაინის სახალხო არტისტი **სტეფანე ტურჩაკი**, დამდგმელი რეჟისორი, უკრაინის სახალხო არტისტი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **დიმიტრი სმოლიჩი**, სპექტაკლის მხატვარი, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი **თეოდორ ნიროდი**, თეატრის სოლისტები — ეთერის როლის შემსრულებელი, ვოკალისტთა საკავშირო კონკურსის ლაურეატი **გიზელა ციპოლა**, აბესალომის როლის შემსრულებელი, უკრაინის დამსახურებული არტისტი **იაროსლავ გოლოვჩუკი**, მურმანის როლის ორი შემსრულებელი — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი **დიმიტრი გნატიუკი** და უკრაინის დამსახურებული არტისტი **ანატოლ მოკრენკო**.

* * *

...მილოცვებს ბოლო არ უჩანდა. დეპეშები მოდიოდა თბილისიდან, მოსკოვიდან, ლენინგრადიდან. ერთი პირველთაგანი, ვინც ლაურეატები მეგობრულად ჩაიკრა გულში, კიევში გასტროლებზე მყოფი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, ზაქარია ფალიაშვილის პრემიის პირველი ლაურეატი **ზურაბ ანჯაფარიძე** გახლდათ. იმ საღამოს ზურაბი „აიდაში“ მღეროდა. პირველი აქტის დამთავრების შემდეგვე მთავარი დირიჟორის ოთახს მიაშურა და იქ თავმოყრილ ლაურეატებს გაღეღიმებული ამაგისათვის მადლობა გადაუხადა. სამახსოვრო ფოტოსურათის გადაღების შემდეგ ლაურეატებს ვთხოვე ეპასუხათ კითხვაზე — **რა აღგილი დაიჭირა მათ შემოქმედებაში ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერმა“?**



სტეფანე ტურჩაკი — „აბესალომ და ეთერი“ იმ ოპერებს განეკუთვნება, რომელთან შეხვედრა უველა დირიჟორისათვის, დიდი ბედნიერების გარდა, დიდი გამოცდაც არის. ლაურეატის საპატიო წოდების მონიჭება არავითარ შემთხვევაში არ მაძლევს უფლებას ვთქვა — უკვე უველაფერი გავაკეთე გენიალური კომპოზიტორის შემოქმედების ამოსაცნობად-მეთქი. ყოველი სპექტაკლი ახალ-ახალი პრობლემის წინაშე მაყენებს და მეც ვცდილობ შეძლებისამებრ სრულყოფილად ვიპოვო, მადლობას ვუხდი ხალხს, რომელმაც ესოდენ დიდი კომპოზიტორი დაბადა...

დიმიტრი სმოლიჩი — ფალიაშვილის უკვდავ ქმნილებებს დიდი ხანია ვეთაყვანები. „აბესალომ და ეთერის“ დადგმაზე ადრეც მიფიქრია, მაგრამ მხოლოდ შემოქმედებით სიმწიფეში გავბედე ჩანაფიქრისათვის ფრთების შესხმა. თვეების მანძილზე ვმოგზაურობდი საქართველოში, ვკითხულობდი ქართულ ლიტერატურას, ვნახე უამრავი ქართული ფილმი, უნახავად არ დამიტოვებია არც ერთი მუზეუმი თუ ისტორიული ადგილი, რაც კი ფალიაშვილის სახელთან არის დაკავშირებული... და მაინც გულის სიღრმეში ვშიშობდი — შევძლებ? დღეს კი ისე გავთამამდი (რისთვისაც ისევ და ისევ მადლობა დიდი კომპოზიტორის სახელს ვუხდი), რომ „აბესალომ და ეთერის“ დადგმას პრაღის თეატრში ვაპირებ. ჩეხი მეგობრები ჩვენს ერთ-ერთ სპექტაკლს დაესწრნენ, მოიხიბლნენ და გვთხოვეს, მათთანაც ავაყღეროთ „აბესალომ და ეთერი“. ვიცი, თუ რაოდენი წარმატებით დაიდგა „დაისი“ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში... ენდეთ ჩვენს მონდომებას, ქართული კულტურის დიდ სიყვარულს — ჩეხოსლოვაკიაში გენიალური კომპოზიტორის ბრწყინვალე ოპერა საკადრის ზეიმს გადაიხდის...

თეოდორ ნიროდი — ხანში შესულ კაცს ფალიაშვილთან შეხვედრამ ჰაბუკური ენერგია დამიბრუნა, ნატვრაც გამიჩინა — გულით მწადია კიევის სცენაზე „დაისიც“ ვნახო, თან მისი მხატვარიც მე ვიყო.

გიზელა ციპოლა — ბევრი როლი შემისრულებია საოპერო სცენაზე, გულის სითბოს უველას ერთნაირად ვუნაწილებ, ეთერმა კი სხვებზე მეტი ალერსი და ყურადღება მომთხოვა. უარს როგორ ვეტყოდი, უველასგან გამოვარჩიე და ჩემს უპირველეს სიყვარულად ვიწამე.

იაროსლავ გოლოვჩუკი — „აბესალომ და ეთერის“ ყოველი წარმოდგენა ჩვენი თეატრის დიდი ზეიმია. მეც, როგორც ამ ზეიმის ერთ-ერთმა მონაწილემ, მინდა ჩემი საიდუმლოება გაგანდოთ — შინ თუ გარეთ „აბესალომად“ მომნათლეს. ეტყობა, უველამ იგრძნო, რომ ეს როლი ჩემთვის შთაგონების წყაროდ იქცა.

დიმიტრი გნატიუკი — როგორ ვმღერი მურმანის პარტიას — მაყურებელმა შეაფასოს, მე კი ვიტყვი, „აბესალომ და ეთერი“, ჰეშმარიტი აღტაცების ღირსია, ქედს ვიხრი ფალიაშვილის შემოქმედების წინაშე...

ანატოლ მოკრენკო — მურმანი ჩემი რეპერტუარის მუდმივი მკვიდრი გახდა.

* * *

მეორე საღამოს ქალაქში ვერ გავედი, შინ დარეკვა მინდოდა და სატელეფონო ლაპარაკი შევუკვეთე... ტელევიზორი ჩავრთეთ, მსახიობი ოლეგ კრავჩენკო სიმონ ჩიქოვანის ლექსებს კითხულობდა. შემდეგ „ორერას“ კონცერტზე მიგვიწვია დიქტორმა. დამთავრდა კონცერტი და რუსთავის მეფოლადეების შრომისა და ცხოვრების ამსახველი კინონარკვევი გვიჩვენეს. საქართველოსადმი მიძღვნილ გადაცემათა სიმრავლემ, ცოტა არ იყოს, გამაკვირვა. მიზეზი ვიკითხე, — იმ მეგობრობისა და სიყვარულის გაგრძელება გახლავთ, შორეულ წარსულიდან რომ დაიწყო და დღეს ესოდენ განმტკიცდაო...

ტელეფონით ლაპარაკს რომ მოვრჩი, გარეთ გამოვედი — კრეშჩატიკზე... თვალი თეატრალურ აფიშას შევავლე. ოპერის თეატრში „აბესალომ და ეთერი“ გადიოდა, დრამატულ თეატრში — ოტია იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება“... სიხარულს სიხარული მიემატა. მიხაროდა, რომ საქართველო ესე ახლობელი, ესე მშობლიური გამხდარიყო უკრაინისათვის.

მართლაც რომ დიდი ბედნიერებაა საბჭოთა ხალხის ჰეშმარიტი, ხელიხელაგამგმანები ძმობა, ერთობა და სიყვარული!

ვაშა ამ გრძნობას, ამ სიყვარულს, კიევში თბილისზე ფიქრსა და თბილისში კიევიდან გამოგზავნილი სიყვარულის მადლიერ განცდას!

რევაზ მაჭავარიანი
კიევი-თბილისი

სურათებზე: ზევით დგანან (მარცხნიდან) იაროსლავ გოლოვჩუკი, დიმიტრი სმოლიჩი, სტეფანე ტურჩაკი, დიმიტრი გნატიუკი, ანატოლ მოკრენკო, სხედან ზურაბ ანჯაფარიძე, გიზელა ციპოლა, თეოდორ ნიროდი; ქვემოთ — სცენა ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“.



ვიეტნამელმა ხალხმა მშვიდობა მოიპოვა — დიდება მშვიდობას, მარადიული ხსოვნა მშვიდობისათვის დაცემულ რაინდებს!

ტის ნარინჯისფერი საღამოები უყვარდა

მაგიდაზე ჰურვი დევს. აქვეა ისეთივე ჰურვის რამდენიმე ნატეხი. ჰურვი შხამიან მორიელსა ჰგავს.

„14 აგვისტო, 1965 წელი“, ვკითხულობ წარწერას.

— აიღეთ, ეხლა აღარ არის საშიში, — მშვიდად მეუბნება ნგუენ ხაკ ფუკი და შუბლზე ოფლის წვეთებს ცხვირსახოცით იმშრალებს. ვგრძნობ, სიმწრის ოფლია ეს.

14 აგვისტო, 1965 წელი, — აი როდის იყო საშიში ეს სიკვდილის მთესველი, დღეს ჩამქრალი ვულკანივით რომ დამცხრალა. ამ ავადმოსაგონარ დღეს დაიღუპა ნგუენ ხაკ ფუკის უფროსი და ნგუენ თი ტი, — ქალიშვილი ვან ფუნდის პროვინციიდან.

თექვსმეტ გაზაფხულს მოესწრო მხოლოდ. მთვარიანი სალამოები უყვარდა თურმე. მთვარის შუქზე გატაცებით უკრავდა ერთსიმიან გიტარას. დან-ბაუს და ტიე-ტინის მცხოვრებლებიც გამოეფინებოდნენ ხოლმე სასმენად, ნგუენ თი ჰოპის ქალიშვილი უკრავსო.

პოეტურ ქალიშვილს საათობით შეეძლო ხეტიალი ჰონგ-ჰას ნაპირას, ბამბუკის ტყეებში.

ოცნება უყვარდა ტის, თვალებიც ლამაზი და მეოცნებე ჰქონდა. ბამბუკის ყვავილობასა ჰგავდა მისი მეჩვიდმეტე გაზაფხული.

მაგიდიდან ჰურვის ნატეხს ვიღებ. ვათვალიერებ. სისხლის ლაქები შერჩენია. ტის სიცოცხლის ნაწილია. მუქ ლაქებად რომ შეხმობია ჰურვს — ჰურვის ნატეხი ხომ ტის ამოაცალეს ფერდიდან.

ტანში ჟრუანტელი მივლის. თითქოს უხსენებელმა მიკბინაო ხელზე, ცივად ვდებ მაგიდაზე ჰურვის ნატეხს.

ბამბუკის ტყესავით აყვავებულ ქალიშვილს ნარინჯისფერი სალამოები უყვარდა... და კიდევ სიცოცხლეს ეტრფოდა, კეთილ სიცოცხლეს.

* * *

ოთხი წელიწადია საქართველოში ცხოვრობს ვიეტნამის შვილი, ოთხი წელიწადია ქართული მიწის კალთას არის შეფარებული და დედის კალთად უჩანს იგი.

ოთხი წელიწადი. ბევრი რამ ისწავლა ოთხ წელიწადში. ქართული წერა-კითხვაც ისწავლა ქართველი მეგობრების დახმარებით და ეხლა ლამაზი ასოებით გამოჰყავს სიტყვები: „გამარჯობა“, „მეგობარი“, „ძმა ძმისთვისაო“, „თბილისო, მზის და ვარდების მხარეო...“

— მზეს უგალობენ აქ, მზის კულტია საქართველოში, — მეუბნება ნგუენი და განაგრძობს, — ვიეტნამში, ვიეტნამურ სიმღერებში მთვარის კულტი მეტად იგრძნობა. მთვარის კალენდარია უმთავრესი — სავსე მთვარის დღით ანგარიშობენ თვეს. მთვარე ხინაზის, სილამაზის სიმბოლოა. მთვარესავით გოგო — ულამაზესს ნიშნავს...

„ოჰ, მთვარევ, მთვარევ...“

— თქვენშიც ხომ სცემენ თაყვანს მთვარეს?

— რასაკვირველია.

— თქვენშიც ადარებენ ლამაზ ქალიშვილს?

— უთუოდ.

— გვაქვს რაღაც საერთო წარსულშიც. ჩემთვის ახლობელია სამასი არაგველის ეპოზოდი. მარაბდელების თავგანწირვა, კრწანისი, ასპინძა ჩემი ხალხის წარსულს მაგონებს.

მასპინძელი ხილითა და ჭიქა ჩაით მიმასპინძლდება. სამეგრელოდან გამოგზავნილი ხილიაო, მიირთვითო. ცხაკაიელმა მოსწავლეებმა საპატიო პიონერად აირჩიეს, ხშირად უგზავნიან წერილებს, ამანათებს, ქართულ ხილს.

აი ერთი წერილი მრავალთაგან: „ჩვენ, ცხაკაიას მეშვიდე სკოლის პირველი რაზმის პიონერებმა საპატიო პიონერად აგირჩიეთ. გისურვებთ ყოველივე სიკეთეს თქვენს პირად ცხოვრებაში.

დაე, ვიეტნამელი ხალხი იყოს თავისუფალი, დაე, ვიეტნამელი პიონერები იყვნენ ბედნიერნი ისე, როგორც ჩვენ, საბჭოთა პიონერები ვართ. გთხოვთ გამოგვიგზავნოთ თქვენი სურათი.

პიონერული რაზმი“.

ქართული ღვინოები სუვენირებივით უწყვია. არა სვამს. ღვინოს ვერ შეეჩვია, რადგან აქ, შორეული ვიეტნამის მიწაზე, არის ერთი გამოთქმა: — თუ ღვინოს სვამ, სვამ შენი თანამემამულის სისხლსო. აქ ღვინოს ბრინჯისაგან აკეთებენ, ბრინჯი კი მათი საარსებო წყაროა: პურია, მჭადია, ღვინოა, — ყველაფერია შფოთიანი ცხოვრების დროს და ნგუენი თავის თავს ნებას არ აძლევს დალიოს. — აქ, თქვენთან, სხვანაირად არის საქმე. ქართველ კაცს შრომაც უყვარს და ულხინოდაც არ შეუძლია.

„დამისხი, დამალევინე...“ ნიავის მოტანილი ხმა გაისმის ოთახში და მე ჩემი ვაზის მზეს ვფიცავ და გამჩენს ვევედრებ მის ნაწურს. იყოს დღეგრძელი მზე შენი, ვაზო ქართულო, — ვჩურჩულებ უნებურად.

* * *

1968 წელს 17 ახალგაზრდა ჩამოვიდა ვიეტნამიდან. მათ შორის იყო ნგუენ ხაკ ფუკი. იგი თავის ექვს ამხანაგთან ერთად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში სწავლობს, სხვები პოლიტექნიკური ინსტიტუტში არიან.

— სუსტად ვიყავი მომზადებული, — მორიდებით ამბობს ნგუენი, — მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ასეულ ახალგაზრდაში 17 კაცი აგვარჩიეს, როგორც საუკეთესონი. ვფიქრობ, ეს ჩვენი პირობების ბრალია.

სამი წელიწადი გავატარე ჯუნგლებში, სადაც გადავიდა უნივერსიტეტი ჰანოის დაბომბვის შემდეგ. სახელდახელოდ შემოვფიცრეთ თავშესაფრები, ავაგეთ სასწავლო „შენობაც“. ჯუნგლებშიც არ გვედგომებოდა. ზოგჯერ შუა ლექციის დროს ისმოდა ჰურვების გამაყრუებელი ხმა.

ხშირად პირდაპირი შეტაკებები უხდებოდათ მომხდურებთან და მერე ისევ გრძელდებოდა ლექცია. თვითონ თეხვდნენ ბოსტნეულს, რომ როგორმე თავი გაეტანათ.

— მცირეოდენ ბრინჯს ძლივს გვაწვდიდნენ ჯუნგლებში. ოთხწლიანია ჩვენი უნივერსიტეტი. აქ კი ხუთი წელიწადი სწავლა, სტიპენდია, ბინა და, რაც მთავარია, მშვიდი ძილი. ეს ჰეშმარიტი ბედნიერებაა, — იღიმება ნგუენი.

ნგუენ ხაკ ფუკი მათემატიკური კიბერნეტიკით არის დაინტერესებული და ნაყოფიერადაც მუშაობს. ექვსი სამეცნიერო შრომა გამოაქვეყნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ალმანახ „მოამბეში“.

— ვერასოდეს დავივიწყებ ჩემი ხელმძღვანელის დოცენტ თამაზ გაჩეჩილაძის ზრუნვას, რომელიც მუდამ მზად არის დამეხმაროს, ამიხსნას, გამარკვიოს. დაუვიწყარი ამაგი დამდეს აკადემიკოსმა გიორგი ჭოლოშვილმა, პროფესორმა თამაზ გამყრელიძემ და სხვებმა.

ნგუენი შავ რქაში გამოკვეთილ პატარა სპილოებს მიჩვენებს. დედისგან გამოგზავნილ ამ ვიეტნამურ სუვენირს ასეთი წარწერა გაუკეთა: „აკადემიკოს გ. ჭოლოშვილს დიდი მადლიერებითა და უსაზღვრო პატივისცემით. ვიეტნამელი ასპირანტი ნგუენ ხაკ ფუკი“.

ეს საჩუქარი ალბათ უკვე გადასცა ადრესატს, რადგან ამ დღეებში ნგუენ ხაკ ფუკმა წარმატებით დაიცვა დისერტაცია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ფიზიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ ერთხმად მიანიჭა მას საძიებელი ხარისხი.

— ეხლა, როდესაც გამგზავრების დრო დადგა, მეტად მაფიქრებს ჩემი მომავალი. არ ვიცი, როგორ ვიმგზავრებ სახლამდე. სად და როგორ დამხვდება დედა, ან დამხვდება კი?

ოთახში უცნობი ახალგაზრდა შემოვიდა. ნგუენი მაცნობს: ვუ ზან დო პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტი.

სიჩუმე ჩამოვარდა და მეზობლებმა დაარღვიეს წამიერი მყუდროება. ხმაურით შემოვიდნენ არაბი ასპირანტები: ნიმრ ხარალა, მუსტაფა რაჰილი.

აქ, თბილისის სტუდენტთა ქალაქის პირველ „ა“ კორპუსში მეზობელ ოთახებში ცხოვრობენ ნილოსის დიდებული ქალაქის კაიროს, უძველესი კულტურის კერის ალექსანდრიის შვილები და ბატდანგის ნაპირებთან გაზრდილი ბიჭები. ერთნაირად თბებიან თბილისური მზით, ერთნაირად იღიმებიან; გულით გვეხმარებიანო, თბილად გვეპყრობიანო, კეთილი ხალხი ხართო ქართველები!

მაგიდაზე კი ჰურვი დევს, — ყვითელფეხება შხამიანი მორიელი. ფოტოალბომიც დევს მაგიდაზე და თითქმის ვხედავ ბამბუკის ტყესავით აყვავებულ ქალიშვილს, რომელსაც ნარინჯისფერი საღამოები უყვარდა... და კიდევ სიცოცხლე უყვარდა, კეთილი სიცოცხლე...

მთვარისა კერესელიძე

ვიცა ლა ამისთვის!

საბჭოთა კავშირში ორ წელიწადს გადიოდა სამეცნიერო სტაჟირებას გეოგრაფი შორეული ჩილედან, ვალპარაისოს უნივერსიტეტის პედაგოგი გუსტავო მერკადო, რომელიც აგროკლიმატოლოგიაში სპეციალდებოდა. სტაჟირების ბოლო თვეები მან საქართველოში დაჰყო, გაეცნო აკადემიკოს თეოფანე დავითაიას აგროკლიმატოლოგიური მასალების დამუშავების მეთოდიკას...



სურათზე: გუსტავო მერკადო (მარჯვნივ) და გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი გივი გაგუა.

— ჩემი ქვეყანა არც ისე დიდი ხნის წინათ დაადგა ანტიიმპერიალისტური პოლიტიკისა და სოციალური პროგრესის გზას. ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა გვაქვს გადასაჭრელი. გვჭირდება ეროვნული კადრები, კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც საამედოდ გაუძღვებიან ქვეყნის ეკონომიკას. საბჭოთა კავშირში ჩემი ჩამოსვლის მიზანიც ეს იყო — დაეუფლებოდი მეცნიერების უახლეს მიღწევებს აგროკლიმატოლოგიაში.

ჩემი მშობლები ღარიბები არიან. ოჯახში გვიჭირდა, ძალუბული ვიყავი შემუშავა და ისე მესწავლა. ამიტომაც უნივერსიტეტში სწავლა გვიან, ოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში დავასრულე.

საბჭოთა კავშირში ორი წელიწადი გავატარე. ამ ხნის მანძილზე საკმაო გამოცდილება შევიძინე.

საქართველოში ჩამოსვლამდე მოსკოვში, ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გავდიოდი სამეცნიერო სტაჟირებას პროფესორ სერგეი ხრომოვის ხელმძღვანელობით. მოსკოვის გარდა, ვიყავი ლენინგრადში, ვოლგოგრადში, ტაშკენტში.

სტაჟირება საქართველოში დავასრულე.

ჩვენს ქვეყანაში ცნობილია აკადემიკოს თეოფანე დავითაიას სახელი, მაგრამ რას წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე მისი ხელმძღვანელობით მუშაობის საშუალება მომეცემოდა. საქართველოში მუშაობის პროგრამის უშუალო განხორციელებაში დიდი დახმარება გამიწია ჩემმა ქართველმა კოლეგამ და მეგობარმა გივი გაგუამ. არ შემიძლია არ გამოვთქვა მადლობა ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლებისადმი, რომლებიც ყოველ ნაბიჯზე იჩენდნენ ყურადღებას ჩემდამი.

უკვე თხუთმეტი წელიწადია, ჩილეს კომუნისტური პარტიის რიგებში ვარ. როგორც კომუნისტს, უდიდეს კმაყოფილებას მგვრიდა, როცა ვგრძნობდი, რა სიმპათიით ეკიდებიან თქვენს ქვეყანაში ჩემი ხალხის სამართლიან ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. მიიღეთ ჩემი რევოლუციური მადლობა ამ თანაგრძნობისათვის!

განსაკუთრებით მახარებს, რომ საქართველოში ჩემი ყოფნა დაემთხვა თქვენი ქვეყნის უდიდეს ზეიმს — საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს. მაშინ, როცა მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობის თვალი თქვენი ქვეყნისაკენ იყო მოპყრობილი, წილად მხვდა ბედნიერება თქვენს შორის ვყოფილიყავი და თქვენთან ერთად გამეზიარებინა ეს სიხარული.

საქართველოში ყოფნისას, მართალია, თავისუფალი დრო ცოტა მქონდა, მაგრამ ზოგიერთი რამის ნახვა მაინც მოვასწარი. თბილისს, შემიძლია ვთქვა, კარგად ვიცნობ. ამის გარდა, ვიყავი მცხეთაში, გორში, მოწიწებით მოვინახულე სახლი, სადაც დაიბადა იოსებ სტალინი. სამტრედიაში გივი გაგუას მშობლები ალადასტურით გამომასპინძლდნენ. ვიყავი ბათუმში, ბოტანიკური ბაღი მართლაც ზღაპრულია! ჩაქეში ვნახე, როგორ ცხოვრობენ კოლმეურნეები. სიამოვნებით ვიგონებ მათ მასპინძლობას. თუმცა ბუნებრივი პირობებით ჩემი ქვეყანაც სუბტროპიკულ ზონაშია და საქართველოს ჩამოჰგავს, მაგრამ ცხოვრების დონე აქ სულ სხვაა. ვოცნებობ იმ დროზე, როცა ჩემი ხალხიც შეძლებულად და ბედნიერად იცხოვრებს.

თქვენს ქვეყანაში გატარებული წლები საუკეთესო მოსაგონრად დარჩება მთელ ჩემს ცხოვრებაში. ყველაფერს გავაკეთებ, რათა ჩემს სამშობლოში კიდევ ერთხელ ვაიარო, როგორი მეგობარი ჰყავს ჩილეს თქვენი ქვეყნის სახით, თუ რა არის საქართველო, მისი ნიჭიერი და მშრომელი ხალხი, რას ნიშნავს ქართული სტუმართმოყვარეობა, ქართული კულტურა, ქართული მეგობრობა.

სამშობლოში გამგზავრების წინ მინდა მადლობა გადავუხადო საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომ საშუალება მომეცა თქვენს ქვეყანაში ჩამოვსულიყავი. დიდი მადლობა საქართველოს კომუნისტურ პარტიას, რომელმაც სწავლისა და ცხოვრების საუკეთესო პირობები შემიქმნა.

ქართველო მეგობრებო, მიიღეთ ჩემი საუკეთესო საახალწლო სურვილები. დაე, ყოველმა ახალმა წელიწადმა ახალი გამარჯვება და ბედნიერება მოუტანოს თქვენს ხალხს!

ვივა ლა ამისტად! მუჩას გრასიას ამიგოს ხეორხიანოს!

ვივა ჩილე!

საუბარი ჩაიწერა

ჯუმბერ ჯიშკარიანმა


საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი საბჭოთა მწერალი

ლევან პართენის ძე გოთუა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ლ ე ვ ა ნ გ ო თ უ ა



ქართულმა მწერლობამ კიდევ ერთი განუმეორებელი, ჭეშმარიტი დიდოსტატი დაჰკარგა, საქართველო გამოეთხოვა სასიქადულო მამულიშვილს, მცხეთის მიწამ — არმაზმა მიიბარა კაცური კაცი, ქართული ენისა და პროზის ღვაწლმოსილი ამაგდარი, ქართველთა ისტორიის მოტრფიალე, ახალგაზრდების მეგობარი, უფროსი თაობის ღირსეული ტოლ-სწორი. თავმდაბალი ვაჟკაცი, გულისხმიერი მეგობარი, მგზნებარე მოქალაქე, დეპუტატი, დაუშრეტელი პროზაიკოსი, სახელოვანი დრამატურგი, ბრწყინვალე ისტორიკოსი, ძეგლთმთავარი, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საზოგადოების პრეზიდიუმისა და გაზეთ „სამშობლოს“ სარედაქციო კოლეგიის წევრი **ლევან გოთუა**.

ქართველმა მკითხველმა დაჰკარგა ისტორიული პროზის მოამაგე, გამართული მოთხრობის ოსტატი, ღრმანა ნოველის მჭარგავი, თეატრის ვალმოსდებული მოღვაწე, ქართული სიტყვის მელოლიავე, მეცნიერ და მეჭაშნიკე.

უცხოეთში მცხოვრებმა თანამემამულეებმა, თქვენ, ჩვენი გაზეთის მკითხველნო, დაჰკარგეთ მეგობარი, თქვენი სიკეთისა და მამულისათვის თქვენეული პატივისცემის, სიყვარულის მგზნებარე მოსურნე, ადამიანი, რომელიც ნეტარ სიმად იყო გაჭიმული თქვენსა და სამშობლოს შორის, რათა იმ სიმს სიყვარული, ძმობა და მამულისადმი ერთგულების ჟღერა ჰქონოდა ექცია, მსოფლიოს ყველა კუთხეში მცხოვრები ქართველი რომ იმღერებდა როგორც მამულის ხამსახურში, ჩვენი და თქვენი აღზევებული საბჭოთა საქართველოს სამსახურში მაშვრალისეულ გუთნისდედურს, მუშურსა და ქართველურ სიმღერას.

ლევან გოთუა დაიბადა თბილისში 1905 წლის 10 მარტს. მამა — პართენ გოთუა იყო საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი. 1921 წელს ლევანი ამთავრებს თბილისის მე-8 ტექნიკუმს, 1925 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიურ ფაკულტეტს. ცოდნასა და სიბრძნეს მოწყურებული კაცი საქართველოს მთა-ბარს ედება, დასტრიალებს, დასთათანებს სამშობლოს ყოველ კუთხეს, მხარეს და ამ ტრფიალში პოულობს თავისი ცხოვრების მიზანს — მწერლობას. მისი პირველივე მოთხრობები მოწონებას იმსახურებენ მკითხველში. 1941 წელს „მნათობში“ იბეჭდება პირველი ნოველა „ყინწვისის ანგელოზი“. იმავე წელს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატიული თეატრი დგამს მისეულ „მეფე ერეკლეს“, რაიც დიდი ინტერესით მიიღო ქართველმა მკითხველმა და მაყურებელმა, ომის წლებში გამოაქვეყნა „უგზო ქარავანი“, „კრწანისის სევდა“, „კაცების სვეტის საიდუმლოება“, კოტე მარჯანიშვილის სახელობის დრამატულმა თეატრმა დადგა „უძლეველნი“.

იმძლავრა ნიჭმა, კალმის მაღლმა, დიდმა ენერგიამ, დაუშრეტელმა შრომის უნარმა და ლევან გოთუა იწამა ქართველმა ხალხმა პროზის დიდოსტატად, სასიქადულო მწერლად, მოხვავდა ციკლი მოთხრობებისა, რომელთაგან განსაკუთრებით გამოირჩევიან „გარეკულა“, „გულიყარის გაზაფხული“, „მუმლი მუხასა“; რომანები: „ლეკვი ლომისა“ და „ნისლი ნახატარის ტყეში“. მარჯანიშვილის თეატრში დაიდგა „დავით აღმაშენებელი“.

საქართველოს თეატრებმა სხვადასხვა დროს დადგეს „ჯამსახიობა რაინდისა“ და „თუთის პატარძალი“.

ქართველმა მკითხველმა დიდი მადლობით მიიღო ლევან გოთუას ისტორიული რომანები — „გმირთა ვარამი“ და მისი უკანასკნელი მწერლური ამოსუნთქვა „მითრიდატე“, რომლის მხოლოდ პირველი წიგნი გამოქვეყნდა. მწერლის ჭეშმარიტი აღიარების უპირველესი ნიშანი — ფართო მკითხველი და დატაცებული წიგნები — ლევან გოთუას ყოველთვის თან სდევდა მისი თაყვანისმცემლები მკითხველისაგან — მისი წიგნი დიდხანს არასოდეს დებულა წიგნის მაღაზიის თაროზე, მისი პიესით დადგმულ სპექტაკლს მაყურებელი არასოდეს დაჰკლებია, მისეული შემოქმედების თარგმანები ყოველთვის დიდის პატივისცემით მიუღია სხვადასხვა ერის მკითხველს საბჭოეთში თუ საზღვარგარეთ.

ლევან გოთუას მწერლურ მადლს თან ახლდა ადამიანზე ზრუნვის შინაგან მოთხოვნილებად ქცეული მოქალაქეობრივი ვალი. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ლევანთან დახმარებისათვის მისულიყოს დიდი თუ პატარა და ლევანს მეგობრულად არ მიეღოს ის, ხელი არ გაეწოდოს, მხარში არ ამოსდგომოდეს, გულისხმიერება არ გამოეჩინოს. მეოცე საუკუნის ღვიძლი შვილი ყოველთვის ნახულობდა დროსა და მოცლას სხვისთვის — ამად იყო დეპუტატი, ხალხის მსახური, ახალგაზრდა მწერლების ამაგდარი, მრჩეველი და მეგობარი.

განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა მისი ბუნება თქვენი, ჩვენო თანამემამულენო, საზოგადოების, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმისა და გაზეთ „სამშობლოს“ სარედაქციო კოლეგიის მოვალეობის აღსრულებისას. არ გვახსოვს შემთხვევა, რომ ლევან გოთუა პრეზიდიუმზე არ მოსულიყოს, უჭმად მჯდარიყოს ან ყოველი საკითხი გულთან არ მიეტანოს, იყო თქვენი და თქვენი ბავშვების მოწვევის, თუ რაიმე წიგნის გამოცემის საკითხი, თქვენდამი ჩვენეული ყურადღების რომელიმე გამოვლინება, ლევან გოთუა ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა მათ გადაწყვეტაში, სიტყვას იტყოდა მამულიშვილურს, გამოიჩენდა კაცობასა და გულისხმიერებას.

„სამშობლომ“ რომ დედაენის ბეჭდვა დაამთავრა, ლევან გოთუა დაუვალებლად მოვიდა რედაქციაში და მოიტანა თავისი წერილი „მერცხლად მოფრენილი საქართველოდან“. აი რას წერდა იმ წერილში:

„სამშობლოს“ ფურცლებმა, ალბათ რამდენ „ანბანდაკარგულ“ ქართველთა ოჯახების კარს მოუკაკუნეს, მერცხლად მიუფრინეს საქართველოდან ჩვენი ახო და სიტყვა... თავის წინაპრების ნათელ საწიგნეთს კვლავ აზიარეს.

ეს გულით ახლო ყოფნა და თავისებური დაბრუნებაა სამშობლოში, მშობლიურ ერთან შეგულისხმებაა! სადაც არ უნდა იყოს ერის კაცი თავისი ენისა და დამწერლობის მფლობელი — სულიერ ღატაკად ვერ ჩაითვლებიხ!

...და სწორედ ამიტომ, ეს ვიწრო საგაზეთო სვეტი დედაენისა, გვესახება უწყვეტ ბილიკად, უცხოობიდან სამშობლოსაკენ ფიზიკური თუ სულიერი მობრუნებისა! და ქართველმა ბავშვმა თუ მოზრდილმა, რომელმაც არ იცის მშობლიური წერა-კითხვა, ისწავლოს... ისწავლოს... და იგი რაცხოს თავის დედათა დედად!“

ლევან გოთუას კეთილი სახე და სახელი მარად დარჩება ყველა მისი მოკეთის, მეგობრისა და მადლიერი მკითხველის გულში; ჩვენ გვჯერა და გვწამს, რომ ამ სახელოვანი მამულიშვილის ზრუნვა და ფიქრი თქვენზე, ჩვენო თანამემამულენო, თქვენს ქართველობაზე და სამშობლოსთან იახლოვებ მისი ანდერძი კეთილად გაღვივდება ყველა თქვენთაგანში, სადაც უნდა იყოთ, მსოფლიოს რომელ კუთხეშიც უნდა ცხოვრობდეთ, ქართული ენა თქვენი დედათა დედა იქნება, საქართველოს მთა-ბარი კი დედისეული აკვანი!

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმი და გაზეთ „სამშობლოს“ სარედაქციო კოლეგია ღრმა მწუხარებით იუწყებიან ამავე საზოგადოების პრეზიდიუმისა და სარედაქციო კოლეგიის წევრის, გამოჩენილი ქართველი მწერლის

ლ ე ვ ა ნ გ ო თ უ ა ს

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ს პ ო რ ტ ი

ფალავნები ფალავნობენ...



თბილისის სპორტის სასახლეში ტრადიციულ ტურნირზე წლეულს მეთორმეტედ შეეჯიდნენ ერთმანეთს მსოფლიოს საუკეთესო ფალავნები.

ტყუილად როდი უწოდებენ ამ ტურნირს მსოფლიოს მინი-ჩემპიონატს. გერმანელი და უნგრელი, ირანელი და ამერიკელი, კუბელი და რუმინელი, მონღოლი და თურქი, ქართველი და მომმე რვასპუნელივეჰის 142 ფალავანი ეცილებოდა ურთიერთს პირველ ადგილს. თავისუფალი სტილის მოჭიდავეები უმიზნებდნენ სანუკვარ პრიზებს და მთავარ პრიზს, წარსულში ცნობილი ფალავნის ვახტანგ ბალავაძის სახელს რომ ატარებს. — ამ საერთაშორისო ტურნირის ტრადიცია ხომ მისი პატივისცემის ნიშნად დამკვიდრდა.

ტურნირმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ საბჭოთა მოჭიდავეები უძლიერესნი არიან — პირველი ათი პრიზიდან შვიდი ჩვენების კუთვნილება გახდა. არც ქართველ ფალავნებს მეურცხვენიათ თავი. მით უმეტეს, რომ რამდენიმე წამყვანი მოჭიდავე (ლევან თედიაშვილი, ტარიელ ალიბეგაშვილი, ნოდარ ხოხაშვილი) ავადმყოფობის გამო სარბიელზე ვერ ვიხილეთ.

ქართველი ფალავნების სამი პირველი ადგილი, თანაც ტურნირის მთავარი, ვახტანგ ბალავაძის პრიზი, ურიგო მონაპოვარი როდია.

ადგილები წონის მიხედვით განაწილდა:

48 კილოგრამი. აქ უძლიერესი ბულგარელი ჰასან ისავი იყო, რომელსაც გადაეცა გაზეთ „ლელოს“ სპეციალური პრიზი საუკეთესო ტექნიკისათვის.

52 კილოგრამი. საბჭოთა სპორტსმენი ალექსანდრე ივანოვი ისე გახდა ჩემპიონი, ფინალურ ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია.

57 კილოგრამი. პირველობისათვის სამი საბჭოთა ფალავანი იბრძოდა. ფინალში მოვლენები დრამატულად განვითარდა. როინ დობორჯგინიძე და ვლადიმერ ჩერტკოვი მსაჯების პასიური ჭიდაობისათვის მოხსნეს. ილია ლეგაშვილმა მომდევნო წრეში გაიმარჯვა და გადამწყვეტ შეხვედრაში წმინდად არ უნდა წაეგო ვალერი ჩერტკოვთან. ჩერტკოვმა მართალია გაიმარჯვა... მაგრამ ქულებით. ეს ლეგაშვილისთვის სავსებით საკმარისი იყო ! ადგილზე გასასვლელად.

62 კილოგრამი. ევროპის ექს-ჩემპიონმა ვლადიმერ მარკელოვმა ფინალში წმინდად მოუგო ირანელ ესკანდიარე ვარზდარის, მაგრამ საბოლოო გამარჯვებისათვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, რადგან იგი წინა წრეში ესევე წმინდად დამარცხდა ბატალ ჰაჯიევთან. მარკელოვმა მხოლოდ გზა გაუხსნა თავის ამხანაგს, მაგრამ მაინც მიიღო გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ სპეციალური პრიზი გამარჯვებისაკენ სწრაფვისათვის. ამრიგად, პირველი ადგილი დაისაკუთრა საბჭოთა მოჭიდავემ ბატალ ჰაჯიევმა.

68 კილოგრამი. აქ დამაჯერებლად გაიმარჯვა ირანელმა ფალავანმა ჭაბამე გოლიამმა.

74 კილოგრამი. ამ წონაში უძლიერესის სახელი დაისაკუთრა რუსლან ამურალიევმა. ამისათვის მას სავსებით ეყო თბილისელ რომან მარსაგიშვილთან ფრე და შემდეგ უკვე ფინალში კრისტო სტავროვის დამარცხება.

82 კილოგრამი. მთავარი ჯილდო — ვახტანგ ბალავაძის სახელობის პრიზი — წილად ხვდა ილურიძეების სახელოვანი გვარის წარმომადგენელს ალექსანდრეს. ფინალში წარმატებისათვის საჭირო იყო მხოლოდ წმინდა გამარჯვება, ფიზიკურად ძლიერ თურქთან. ფოლად სარი ქართველმა მოჭიდავემ მეხუთე წუთზე ხალიჩას გააკრა.

90 კილოგრამი. მიუხედავად ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონი, ამერიკელი ბენჯამენ პატერსონი არ იყო ჩვეულ ფორმაში, მაგრამ ფინალურ ბრძოლებში მაინც თავი გამოიჩინა. იგი თბილისის საერთაშორისო ტურნირის ღირსეული ჩემპიონია. ბედმა არ გაუღიმა სოხუმელ ვლადიმერ მარშანიას, იგი დამაჯდა და ტურნირს გამოეთიშა. მარშანიამ სპეციალური ჯილდო მაინც მიიღო: გაზეთ „კომუნისტის“ პრიზი ყველაზე მოკლე დროში გამარჯვებისათვის — ქართველმა ფალავანმა ირანელ მასერ ზეინალი-ზადეს 10 წამში დააყრევინა ფარ-ხმალი.

100 კილოგრამი. მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ვლადიმერ გულიუტკინს არც წინასწარ შეხვედრაში და არც ფინალში ტოლი არ ჰყავდა.

მძიმე წონა. დიდი ფალავნის ალექსანდრე მედვიდის მემკვიდრემ ნოდარ მოდებაძემ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ წინამორბედის საქმის ღირსეული გამგრძელებელია. მან ამ ტურნირში ყველა მეტოქე დაამარცხა და პირველი ადგილი დაისაკუთრა.

ფინალურ ასპარეზობათა დღეს სპორტის გულშემატკივრები გულმხურვალედ მიესალმნენ საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს, ამერიკელ სტივე იოვანოვს, რომელმაც ატლანტიკის ოკეანე მეტად ძვირფასი სუვენირით გადმოლახა. ეს იყო ოქროს სიმბოლური გასაღები, რომელიც გადაეცათ ქართული ჭიდაობის თავკაცებს — ვახტანგ ბალავაძეს, ვახტანგ კუხიანიძესა და ირაკლი სარაჯიშვილს.

...ტურნირის დასასრულ კიდევ ერთხელ იფეთქა ტაშმა — დიდ ასპარეზს გამოეთხოვა სამი ფალავანი, სპორტის სამი დამსახურებული ოსტატი, მსოფლიოს პირველობათა ჩემპიონები და პრიზიორები — აზერბაიჯანელი აიდინ იბრაჰიმოვი და ქართველები ზარიბეგ ბერიაშვილი და შოთა ლომიძე. სახელგანთქმულმა სპორტსმენებმა ბევრი თბილი სიტყვა მოისმინეს და მრავალი სამახსოვრო საჩუქარიც მიიღეს.

...საპატიო კვარცხლბეკზე კი ადგილდნენ გამარჯვებულები. ცნობილი ქართველი ფალავნები საზეიმო ვითარებაში გადასცემდნენ მათ მედლებსა და პრიზებს.

ჯემალ მათურელი



სურათებზე: ზევით — გამარჯვებულ ფალავანს ალექსანდრე ილურიძეს თავის სახელობის პრიზს გადასცემს ვახტანგ ხალვაძე; ქვევით — ფალავნები ფალავნობენ.

ალექსანდრე ჯოტორაშვილის ფოტოები.

გივი ძნელაძე

დაგეძებენ — ეძებენ...

„სამშობლო, დედის ძუძუი,
არ გაიცვლების სხვაზედა“

რაფიელ ერისთავი

„დაგეძებენ, მოგელიან!“ —
რამდენს ამბობს ეს რუბრიკა!
ომის ტალღით შორს გატყორცნილს
გეძებს შენი რესპუბლიკა.
დედის ცრემლი ყოვლის შემძლე,
ეჭიდება, ადნობს მანძილს,
ღვთაებრივი ფრთებით მოქრის
და ალერსად გათოვს, გაწვიმს.
გაჰყურებენ გზას თვალები,
დარდიანი ნატვრიანი,
შენიანებს უშენობა
სტკივათ, როგორც ნატყვიარი.
შორით შენი ხმა ჩაესმით,
შენი ლაღი გაცინება;
აქ მართვენი რომ დატოვე,
წამოზრდილან არწივებად.
მათთვის წლები უშენონი
სინანულის მომგვრელია,
დღისით-ღამით, ზამთარ-ზაფხულ
გულის თრთოლვით მოგელიან...
სად ხარ ნეტავ, რაზე ფიქრობ,
რა საქმენით გვიბერდები?
დაგეძებენ, მოგელიან
მოპარპალე იმედები.
შენი მზე და მთვარე გიხმობს,
შენი თბილი ნააკვნარი;
გიხმობს შენი კუთხის სიო,
ნაზ სიზმრებად გადამდნარი.
წინაპართა გიხმობს სული,
კერის კვამლად მოფარფატე;
შენეული გიცდის წიგნი,
შენეული ოხრავს ბადე...
სადაური სად ლევ დღეებს,
სად ცოდვილობ, სად ირჯები!..
უდარდელი სიყმაწვილის
გეძახიან ნაბიჯები.
სკოლის ზარის, მარნის კარის
ხმით გეძახის საქართველო,
რომ სიცოცხლე დასეტყვილი
მზის ჩუქურთმად აამღეროთ.
გეძახიან მეგობრები,
მეზობლები კარისანი.
სამშობლოში სხვა ცა ბრწყინავს,
სხვა ოცნება, სხვა მიზანი.
მოგელიან გათანგულნი
მოლოდინით ბინდნარევით
მშობლიური მთა-ველები,
ნაძვნარები, შვინდნარები...
შენ, ვინც სხვათა ჭერქვეშ სუნთქავ, —
შოთა ხარ თუ ამირანი, —
არ იქნება არ გკორტნიდეს
სიმარტოვე გამგმირავი.
შენს სიხარულს სხივთა ზვირთად
ფრთები თუ ვერ გაუშლია,
ერთადერთი მხსნელი ძალა
იცოდე, რომ მამულშია.
ვისაც პირში სული გიდგას
იმ წყეული წარღვნის მერე,
შენი მტკვარი და რიონი,
შენი რიწა გაიხსენე!
თუ ეგ გული კიდევ გულობს,
და გუგუნის არის ღირსი,
შენი გორი გაიხსენე,
შენი მცხეთა და თბილისი!
შენი ყრმობის ადგილები
ჩაუყლაპავთ ახალ ქუჩებს;
ჯადო ფერისცვალებისა
დაგატყვევებს, დაგამუნჯებს.
თუ ჩამოხვალ, თვითონ ნახავ,
რაც შენს შემდეგ შევიძელით;
ჩონგურების გიხმობს ცეცხლი,
უკვდავების დასადარი.
შენი ფესვი ძარღვმაგარი —
საქართველო სხვა სად არი!
თუკი შეგძრავს მადლი, რასაც
სიყვარულის შობს გენია,
სანუკვართა დღეთა სპანი
შენს მამულში მოგელიან!

ალექსანდრე ჯავახიშვილი



1917 წელს ალექსანდრე ჯავახიშვილი თბილისში გადმოდის. 1920 წელს მას ირჩევენ უნივერსიტეტის პროფესორად და გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის კათედრის ხელმძღვანელად.

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ალექსანდრე ჯავახიშვილი თბილისის უნივერსიტეტში სათავეში ედგა გეოგრაფიულ მეცნიერებათა სწავლების საქმეს და ეწეოდა მეტად ნაყოფიერ მრავალმხრივ მოღვაწეობას. მისი ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით უნივერსიტეტში შეიქმნა რამდენიმე გეოგრაფიული კათედრა, სამეცნიერო კაბინეტები, მუზეუმი და ბიბლიოთეკა. ერთ-ერთ იმ კათედრას (გეომორფოლოგიისას) განსვენებული ხელმძღვანელობდა უკანასკნელ დრომდე.

ფართოდ არის ცნობილი მისი შრომები ზოგად და რეგიონალურ გეომორფოლოგიაში. საქართველოს გეომორფოლოგიურ შესწავლას მეცნიერმა მიუძღვნა მრავალი სტატია და მონოგრაფია.

დიდი შრომა გასწია ალექსანდრე ჯავახიშვილმა საქართველოში კარტოგრაფიის განვითარებისათვის. მისი ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით შედგენილია საქართველოსა და ამიერკავკასიის რუკები და ატლასები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 1964 წელს გამოცემული საქართველოს ატლასი, რომლის სამეცნიერო რედაქტორია ალექსანდრე ჯავახიშვილი. ამ ატლასის შექმნისათვის მას 1970 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია.

1933 წელს ალექსანდრე ჯავახიშვილის ინიციატივით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა გეოგრაფიის კვლევითი ინსტიტუტი. ამ პირველმა ქართულმა გეოგრაფიულმა სამეცნიერო დაწესებულებამ, რომლის მუშაობასაც წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ალექსანდრე ჯავახიშვილი, შეძლო თავის ირგვლივ შემოეკრიბა ახალგაზრდა მეცნიერ-გეოგრაფთა ეროვნული კადრები.

მისივე ინიციატივითა და ხელმძღვანელობით 1945 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში შეიქმნა გეოგრაფიის ინსტიტუტი, რომლის უცვლელი ხელმძღვანელი იყო ალექსანდრე ჯავახიშვილი 1962 წლამდე, როდესაც მან ხანდაზმულობის გამო დატოვა ეს პოსტი.

წლების მანძილზე ინსტიტუტი გადაიქცა საბჭოთა კავშირის მთიანი მხარეების გეოგრაფიული შესწავლის მოთავე სამეცნიერო დაწესებულებად, სადაც მრავალმხრივ ნაყოფიერ კვლევითს მუშაობას ეწევა ალექსანდრე ჯავახიშვილის მიერ აღზრდილ გეოგრაფთა დიდი კოლექტივი.

გამოჩენილი მეცნიერის მიერ შექმნილ სახელმძღვანელოებზე აღიზარდა ქართველ გეოგრაფთა არა ერთი თაობა.

მეცნიერი გრძნობდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გეოგრაფიული ცოდნის პოპულარიზაციას ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდის საქმეში. სწორედ ამ მიზნებს ემსახურებოდა ალექსანდრე ჯავახიშვილის ინიციატივით 1942 წელს შექმნილი საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება, რომლის უცვლელ პრეზიდენტად ის ითვლებოდა უკანასკნელ წლებამდე, ხოლო 1970 წლიდან კი ამ საზოგადოების საპატიო პრეზიდენტი იყო.

ალექსანდრე ჯავახიშვილის მოღვაწეობამ გეოგრაფიულ მეცნიერებათა სფეროში მაღალი შეფასება დაიმსახურა. 1944 წელს მას ირჩევენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, ხოლო საბჭოთა კავშირის გეოგრაფიული საზოგადოების მეორე ყრილობამ 1955 წელს მხცოვანი მეცნიერი ამ საზოგადოების საპატიო წევრად აირჩია. მას მინიჭებული ჰქონდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, დაჯილდოებული იყო ლენინისა და ორი შრომის წითელი დროშის ორდენებით, რამდენიმე მედლით.

ალექსანდრე ჯავახიშვილი ეკუთვნოდა მეცნიერთა იმ რიცხვს, ვინც არ კმაყოფილდება მიღწეულით და ყოველთვის მაისწრაფვის ახლისაკენ მეცნიერებაში. მიუხედავად ხანდაზმულობისა, იგი უკანასკნელ დრომდე არ ჩამოშორებია მეცნიერულ და სასწავლო მუშაობას საყვარელ უნივერსიტეტში.

მეცნიერულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში ალექსანდრე ჯავახიშვილი ამჟღავნებდა უდიდეს პრინციპულობას და მომთხოვნელობას თავისი თავისადმი, იყო დიდი მოქალაქე და პატრიოტი, თავმდაბალი და გულისხმიერი, მზრუნველი აღმზრდელი და ერთგული მეგობარი. ესეთი დარჩება იგი მარად ხალხის ხსოვნაში.

დაგეძებენ, მოგელიან

ვლადიმერ, ტერენტი და ტიტიკო არტემის ძე კაჭარავებს,

დაბადებული 1914, 1916 და 1922 წელს აბაშის რაიონის სოფელ ნაესაკაოში, ეძებენ ვლადიმერის მეუღლე — **ანიკო** და შვილი — **ლუიზა**, დები — **აკვილინა, მალვინა, თალიკო კაჭარავები**, მცხოვრებნი სოფელ ნაესაკაოში.

ვიქტორ ილიას ძე ტყეშელაშვილს,

დაბადებულს 1927 წელს ონის რაიონის სოფელ შოუბანში, ეძებს — მამა **ილია ტყეშელაშვილი**, მცხოვრები თბილისში, ვაცეკის ქუჩა № 43.

შოთა ფილიპეს ძე შუბლაძეს,

დაბადებულს 1922 წელს ქალაქ სოხუმში, ეძებს მამა — **ფილიპე**, და — **მერი შუბლაძეები**, მცხოვრებნი თბილისში, ოქტომბრის ქუჩა № 307.

ნიკოლოზ ბესარიონის ძე აბულაძეს,

დაბადებულს 1909 წელს ქალაქ გორში, ეძებენ მეუღლე — **მარგალიტა**, შვილები — **ლალისო, ვენერა აბულაძეები**, მცხოვრებნი გორში, პუშკინის ქუჩა № 3.

ალექსანდრე ილიას ძე ტაბიშვილს,

დაბადებულს 1917 წელს მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანში, ეძებენ დედა — **მარიამი**, ძმა — **ელგუჯა**, დები — **მედეა, ნელი**, რძალი — **ლამარა**, ძმისწულები — **ალექსანდრე, მანანა ტატიშვილები**, მცხოვრებნი თბილისში, პეკინის ქუჩა № 16, II სადარბაზო, ბინა 35.

ალექსანდრე გიოს ძე წვერიკმაზაშვილს,

დაბადებულს 1920 წელს გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბანში (ყოფილი ურიათუბანი), ეძებს დედა — **დარო**, მეუღლე — **თამარი**, შვილი — **გივი** შვილიშვილები — **ალექსანდრე, დათო**, დები — **კატუშა, ეთერ, ლედი**, ძმა — **ზაქარ წვერიკმაზაშვილები**, მცხოვრებნი სოფელ ვაზისუბანში.

ზურაბ გიორგის ძე ფიცხელაურს,

დაბადებულს 1921 წელს ახმეტის რაიონის (ყოფილი თელავის რაიონი), სოფელ ზემო ხოდაშენში, ეძებენ დედა — **ნატო**, მამა — **გიორგი**, ძმა — **ბიჭიკო**, დები — **ელისო** და **რუსუდან ფიცხელაურები**, მცხოვრებნი სოფელ ზემო ხოდაშენში.

ალექსანდრე ირაკლის ძე ხალვაშს,

დაბადებულს 1922 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგოეთში (აკეთი), ეძებენ დედა — **ეკატერინე (კატუშა)**, მამა — **ირაკლი**, და — **ნორა ხალვაშები**, მცხოვრებნი თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი, კვარტალი IV, კორპუსი 1ა.

იოსებ ვასილის ძე ვანიშვილს,

დაბადებულს 1921 წელს გორის რაიონის სოფელ ატენში, ეძებენ დედა — **მათიკო**, დები — **ანა, მარგალიტა ვანიშვილები**, მცხოვრებნი სოფელ ატენში.

ვლადიმერ პარმენის ძე დათიაშვილს,

დაბადებულს 1907 წელს წყალტუბოს რაიონის სოფელ გეგუთში, ეძებენ მეუღლე — **ქეთო**, და — **სონია**, შვილი — **თენგიზ**, შვილიშვილი — **თეიმურაზ დათიაშვილები**, მცხოვრებნი ქუთაისში, ლენინის გამზირი № 17.

რედაქტორი
გივი კარბელაშვილი

ჩვენი მისამართი: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.